

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების  
სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი  
The Scientific-Educational Center For The Georgian Language Technology Of The  
Georgian Technical University

თბილისის პირველი საერთაშორისო საზაფხულო სკოლა  
„ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“

ემდგნება საქართველოში კლასიკური მათემატიკური ლოგიკის სკოლის ფუძემდებლის,  
მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, შალვა ფხაკაძის ხსოვნას

**FIRST TBILISI INTERNATIONAL SUMMER SCHOOL IN  
"LOGIC, LANGUAGE, ARTIFICIAL INTELLIGENCE"**

Dedicated to the memory of the founder of the school of classical mathematical logic in Georgia,  
the honor scientist of Georgia, Shalva Pkhakadze

პ რ ო გ რ ა მ ა  
P R O G R A M

09.09.2019 - 15.09.2019

[geoanbani.com/TbiLLAI](http://geoanbani.com/TbiLLAI)



მხარდამჭერები:



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
Georgian Technical University



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
Georgian National Academy of Sciences

სპონსორი:



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia



**სეზონური სკოლის მიზნები:** თბილისის საერთაშორისო სეზონური სკოლის „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“ მამოძრავებელი ამოცანაა ქართული და აფხაზური ენების სრულყოფილად მცოდნე ხელოვნური ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების ანუ, რაც იგივეა, ქართული და აფხაზური ენების ახალი - ტექნოლოგიური ანბანების აგება, რის აუცილებლობასაც უკვე კარს მომდგარ და სანახევროდ უკვე ამოქმედებულ ციფრულ ეპოქაში პირდაპირობით გვეკარნახობს საქართველოს სახელმწიფო ენების - ქართულისა და აფხაზურის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის ქართული სახელმწიფოებრივი ვალდებულება.

აქედან გამომდინარე, ჩვენი პირველეტაპობრივი მიზანია სკოლის მსმენელებისათვის, კერძოდ კი - სკოლის ადგილობრივი მსმენელებისათვის ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის მიზნების, მეთოდების, უკვე მიღწეული შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივების მეტად მაღალი ენობრივ-კულტურული მნიშვნელობების სიღრმისეული გაცნობა-გააზრება, რაც, ცხადია, აუცილებელი საფუძველია ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისებით ამ დღეს მეტად მნიშვნელოვან ინტერდისციპლინურ სამეცნიერო სფეროში ადგილობრივი ახალგაზრდა კადრების შემდგომი მზარდი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რაც, თავის მხრივ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ციფრულ ეპოქაში ჯერ კიდევ ტექნოლოგიურად არასაკმარისად მხარდაჭერილი ქართული, მით უფრო აფხაზური ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარებისათვის.

**ამონაწერი საქართველოს კონსტიტუციიდან:** საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური. სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით.

„პირველი ნიშანი ერის ვინაობისა ენაა.“ - **ილია ჭავჭავაძე (1837-1907)**

„როდესაც დედ-მამა შვილებს აშორებს დედა-ენასა და მის ნაცვლად აზეპირებინებს რომელსამე უცხო ენასა, რასა შვება იგი ამით? უდიდეს და უზადლო მოძღვარს ხელიდან ართმევს თავისს შვილებსა და აბარებს მათ უხეირო და უსულდგემლო მასწავლებელს. სრულიად საჭირო არ არის შორს გამჭვრეტი ჭკუა, რომ ამისთანა ბავშვს კაცმა უწინასწარმეტყველოს უნუგემო მომავალი.“ - **იაკობ გოგებაშვილი (1840-1912)**

„რომელი ევროპული ენები განვითარდება ინფორმაციისა და ცოდნის საზოგადოებრივ ქსელში, და რომელი ენებია განწირული გაქრობისთვის? ... ევროპას ჭირდება ძლიერი და ადვილად ხელმისაწვდომი ენობრივი ტექნოლოგიები ყველა ევროპული ენისათვის“ - **მეტა-ქსელის კვლევა "ევროპის ენები ციფრულ ეპოქაში" (2010-2012)**



**თბილისის პირველი საერთაშორისო საზაფხულო სკოლა**

**„ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“**

**ეძღვნება საქართველოში კლასიკური მათემატიკური ლოგიკის სკოლის ფუძემდებლის, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, შალვა ფხაკაძის ხსოვნას**

**პ რ ო გ რ ა მ ა**

**დღე პირველი, 9 სექტემბერი, ორშაბათი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მცირე საკონფერენციო დარბაზი**

08:00 - 10:45

გუნდური შეჯიბრის მათრგანიზებელი ჯგუფი

- გუნდურ შეჯიბრზე გადასაწყვეტი ამოცანების დასმა და მათ გასააზრებლად აუცილებელი განმარტებების მიცემა
- 10:45 - 12:00 გუნდური შეჯიბრის მათგანიზებული ჯგუფი  
დამატებითი განმარტებები შეჯიბრზე გადასაწყვეტ ამოცანებზე  
12:00 - 14:00 - შესვენება - ყავა და ჩაი
- 14:00 - 15:00 ლაშა აბზიანიძე  
ბუნებრივი თეორემების მამტიციცებელი ბუნებრივი ენისთვის
- 15:00 - 16:00 ალექსანდრე მასხარაშვილი  
ლოგიკური გრამატიკები ბუნებრივი ენებისთვის: სინტაქსი, სემანტიკა და მათი ურთიერთმიმართება
- 16:00 - 17:00 ჟან-ფილიპ ბერნარდი  
ბუნებრივი ენის ალბათური სემანტიკა
- 17:00 - 18:00 კონსტანტინე ფხაკაძე  
ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები
- 18:00 - 19:00 გუნდური შეჯიბრის მათგანიზებული ჯგუფი  
საკონსულტაციო შეხვედრა შეჯიბრში მონაწილე გუნდებთან
- 19:00 - გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სკოლის ლექტორებისათვის - ბანკეტი

**დღე მეორე, 10 სექტემბერი, სამშაბათი**

**დილა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მცირე საკონფერენციო დარბაზი**

- 09:00 - 10:30 თემურ კუცია  
დამტიციცების და ამოხსნის მეთოდები ურანგო ლოგიკურ თეორიებში
- 10:30 - 12:00 ბაგჰერ ბაბაალი  
ნეირონული ქსელები და N-გრამატიკებზე დაფუძნებული ენის მოდელები უწყვეტი მეტიყველების ამომცნობისათვის  
12:00 - 14:00 - შესვენება - ყავა და ჩაი

**დღე მეორე, 10 სექტემბერი, სამშაბათი**

**შუადღე - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მცირე საკონფერენციო დარბაზი**

- 14:00 - 14:05 საქართველოში კლასიკური მათემატიკური ლოგიკის სკოლის ფუძემდებლის, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, შალვა ფხაკაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესიის გახსნა
- 14:05 - 14:30 ხიმურ რუხაია  
შალვა ფხაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა
- 14:30 - 15:00 ალექსანდრე კირთაძე  
ინვარიანტული ზომების ძლიერი ერთადერთობის თვისების შესახებ
- 15:00 - 15:30 ალექსანდრე ხარაზიშვილი  
თითქმის ინვარიანტული სიმრავლეების გამოყენებების შესახებ
- 15:30 - 16:00 კონსტანტინე ფხაკაძე  
აღნიშვნათა თეორია როგორც ქართული ენის თეზისებისა და ლოგიკური გრამატიკის თეორიული საფუძველი
- 16:00 - 16:30 ზურაბ ხასიდაშვილი  
აღნიშვნათა თეორიიდან გამოსახულებათა გადამწერ სისტემებამდე
- 16:30 - 17:00 თემურ კუცია  
აღნიშვნათა თეორია, თარგთა აღრიცხვა და სასრული ტიპის შეთანადებები

17:00 - 19:00 - ყავა, ჩაი და არამხოლოდ - ალაფურშეტი

19:00 - კულტურული და გასტრონომიული ექსკურსია ძველ თბილისში

**დღე მესამე, 11 სექტემბერი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მცირე საკონფერენციო დარბაზი**

09:00 - 10:30 თემურ კუცია  
დამტკიცების და ამოხსნის მეთოდები ურანგო ლოგიკურ თეორიებში

10:30 - 12:00 იოჰან ბოსი  
პარალელური სემანტიკური ბანკი: მრავალენოვანი თარგმანთა კორპუსი ანოტირებული კომპოზიციური სემანტიკური გამოსახულებებით

12:00 – 14:00 - შესვენება - ყავა და ჩაი

14:00 - 15:30 ალექსანდრე მასხარაშვილი  
ლოგიკური გრამატიკები ბუნებრივი ენებისთვის: სინტაქსი, სემანტიკა და მათი ურთიერთმიმართება

15:30 - 17:00 ჟან-ფილიპ ბერნარდი  
ბუნებრივი ენის ალბათური სემანტიკა

17:00 – 18:00 გუნდური შეჯიბრის მათემატიკური გამოწვევები  
საკონსულტაციო შეხვედრა შეჯიბრში მონაწილე გუნდებთან

**დღე მეოთხე, 12 სექტემბერი, ხუთშაბათი - ექსკურსია ქალაქგარეთ**

**დღე მეხუთე, 13 სექტემბერი, პარასკევი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მცირე საკონფერენციო დარბაზი**

09:00 - 10:30 ლაშა აბზიანიძე  
ბუნებრივი თეორემების მათემატიკური ბუნებრივი ენისთვის

10:30 - 12:00 იოჰან ბოსი  
პარალელური სემანტიკური ბანკი: მრავალენოვანი თარგმანთა კორპუსი ანოტირებული კომპოზიციური სემანტიკური გამოსახულებებით

12:00 – 14:00 - შესვენება - ყავა და ჩაი

14:00 - 15:30 ალექსანდრე მასხარაშვილი  
ლოგიკური გრამატიკები ბუნებრივი ენებისთვის: სინტაქსი, სემანტიკა და მათი ურთიერთმიმართება

15:30 - 17:00 ჟან-ფილიპ ბერნარდი  
ბუნებრივი ენის ალბათური სემანტიკა

17:00 – 18:00 გუნდური შეჯიბრის მათემატიკური გამოწვევები  
საკონსულტაციო შეხვედრა შეჯიბრში მონაწილე გუნდებთან

**დღე მეექვსე, 14 სექტემბერი, შაბათი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მცირე საკონფერენციო დარბაზი**

09:00 - 10:30 ლაშა აბზიანიძე  
ბუნებრივი თეორემების მათემატიკური ბუნებრივი ენისთვის

10:30 – 12:00 კონსტანტინე ფხაკაძე  
ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები

12:00 – 14:00 - შესვენება - ყავა და ჩაი

14:00 – 15:30 ბაგჰერ ბაბაალი  
ნეირონული ქსელები და N-გრამატიკებზე დაფუძნებული ენის მოდელები უწყვეტი მეტყველების ამომცნობისათვის

15:30 – 17:30 შეჯიბრში მონაწილე გუნდების პრეზენტაციები და შედეგების შეჯამება

17:30 – 18:00 სკოლის დახურვა - გამარჯვებული გუნდის დასახელება; გამარჯვებული გუნდისთვის წამახალისებელი სიგელისა და ფულადი ჯილდოს გადაცემა; მომავლის პერსპექტივების განსაზღვრა

18:30 - სკოლის ლექტორების გამოსამშვიდობებელი შეხვედრა - ბანკეტი



## კურსები და ლექტორები:



**ჟან-ფილიპ ბერნარდი წაიკითხავს 3 დღიან სალექციო კურსს „ბუნებრივი ენის ალბათური სემანტიკა“.**

ბერნანდს 2011 წელს ტიპთა თეორიასა და პროგრამულ სისტემებში მიენიჭა დოქტორის წოდება ჩალმერსის უნივერსიტეტისგან, სადაც სადოქტოროს დაცვის შემდეგ გააგრძელა მუშაობა პოსტდოქტორანტად და შემდეგ უკვე ასისტენტ პროფესორად. იქვე, 2014 წელს, მიენიჭა დოცენტის აკადემური წოდება.

ბერნარდი, რომლის სამეცნიერო პუბლიკაციათა რაოდენობა ოცდათხუთმეტს აჭარბებს, ამჟამად გოტებორგის უნივერსიტეტის მკვლევარია. ის გამოირჩევა თავისი მრავალპროფილური სამეცნიერო ექსპერტიზით, რაც მოიცავს შემდეგ დარგებს: ლოგიკა, პროგრამირების ენები და მათი სემანტიკა, მანქანური სწავლება, ბუნებრივი ენების დამუშავება და ბუნებრივი ენების სემანტიკა.

ბერნარდი ფუნქციონალურ პროგრამირების დარგში აქვეყნებს მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ჟურნალებში. ამასთან, მანქანური სწავლების დარგში მის სახელს უკავშირდება ტენზორფლოუს პაკეტის ჰასკელის ინტერფეისი. მანვე კოლეგებთან ერთად შექმნა ბუნებრივ ენაში გამომდინარეობის პირველი ალბათური მოდელი კომპიუტერული იმპლემენტაციით.



**იოჰან ბოსი წაიკითხავს 2 დღიან სალექციო კურსს „პარალელური სემანტიკური ბანკი: მრავალენოვან თარგმანთა კორპუსი ანოტირებული კომპოზიციური სემანტიკური გამოსახულებებით“.**

იოჰან ბოსი არის გრონინგენის უნივერსიტეტის პროფესორი გამოთვლით სემანტიკაში. მას მიანიჭა დოქტორის ხარისხი ზაარლანდის უნივერსიტეტმა. მუშაობდა პოსტდოქტორანტ მკვლევრად ედინბურგის საპიენცის უნივერსიტეტებში.

ბოსი არის "ბოქსერის" შემქმნელი (მოწინავე ფართო სპექტრის სემანტიკური ანალიზატორი ინგლისურისთვის), "გრონინგენის სემანტიკური ბანკის" (სემანტიკურად ანოტირებული ტექსტების მასიური კორპუსი) ინიციატორი და, ასევე, "ვორდრობის" (თამაში სემანტიკური ანოტირების მიზნით) გამომგონებელი.

2015 წელს ბოსმა მიიღო €1.5 მილიონიანი "ვიჩი" გრანტი ნიდერლანდების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციისგან, იმ მიზნით, რომ გამოიკვლიოს თუ რა როლს თამაშობს სემანტიკები მანქანურ და ხელით თარგმანში. ამ კვლევის კონკრეტულ პროდუქტს წარმოადგენს "პარალელური სემანტიკური ბანკი", რომელიც შეიცავს დეტალურ აღწერილობით გამოსახულებებს ინგლისური, გერმანული, ჰოლანდიური და იტალიური წინადადებების მნიშვნელობებისათვის.



**თემურ კუცია წაიკითხავს ლექციას თემაზე „აღნიშვნათა თეორია, თარგთა აღრიცხვა და სასრული ტიპის შეთანადებები“, რომელიც ეძღვნება შალვა ფხაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მათემატიკური ლოგიკის ეტაპს და 2 დღიან სალექციო კურსს „დამტკიცების და ამოხსნის მეთოდები ურანგო ლოგიკურ თეორიებში“.**

თემურ კუციას კვლევის ინტერესები მოიცავს კომპიუტერული ლოგიკის და დეკლარაციული პროგრამირების საკითხებს.

უნიფიკაციის პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სტატია წამყვან ჟურნალებსა და კონფერენციების მასალებში. იყო 20 საერთაშორისო კონფერენციის და სეზონური სკოლის ორგანიზატორი, 40-ზე მეტი კონფერენციის პროგრამული კომიტეტის წევრი. ლინცის უნივერსიტეტში უძღვებოდა ათ სხვადასხვა სალექციო კურსსა და სემინარს. იყო მრავალი სხვადასხვა საერთაშორისო სეზონური სკოლისა და კონფერენციის მიწვეული ლექტორი/მომხსენებელი.



**ლაშა აბზიანიძე წაიკითხავს 3 დღიან სალექციო კურსს „ბუნებრივი თეორემების მამტკიცებელი ბუნებრივი ენისთვის“. ამავდროულად, ის არის სკოლის გუნდური შეჯიბრის მორგანიზებელი ჯგუფის წევრი.**

ლაშა აბზიანიძე არის პოსტდოქტორანტ მკვლევარი გრონინგენის უნივერსიტეტში. 2017 წელს მას მიენიჭა დოქტორის ხარისხი ტილბურგის უნივერსიტეტისგან. მის სადოქტორო კვლევაში მან შექმნა ახალი თეორემების მამტკიცებელი, რომელიც პირდაპირ ოპერირებს ინგლისურ წინადადებებზე და შედეგად საშუალებას იძლევა მათზე ავტომატური მტკიცებების წარმოებისა.



2017 წლიდან, "პარალელური სემანტიკური ბანკის" პროექტის ფარგლებში, იგი მუშაობს კონკრეტული ენისგან დამოუკიდებელ ფორმალურ სემანტიკურ გამოსახულებებზე.

ლაშა აბზიანიძეს გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სტატია მოწინავე საერთაშორისო კონფერენციების შრომებსა და ჟურნალებში, გაკეთებული აქვს 20-ზე მეტი მოხსენება მოწინავე საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორკშოპებზე. ის არის 2019 წლის საერთაშორისო "საერთო ამოცანის" ერთ-ერთი თანაორგანიზატორი.



**ბაგჰერ ბაბაალი წაიკითხავს 2 დღიან სალექციო კურსს „ნირონული ქსელები და N-გრამატიკებზე დაფუძნებული ენის მოდელები უწყვეტი მეტყველების ამომცნობისათვის“. ამავდროულად, ის არის სკოლის პროგრამული კომიტეტის წევრი.**

ბაგჰერ ბაბაალიმ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სამეტყველო ენის დამუშავებაში შარიფის ტექნოლოგიების უნივერსიტეტში 2009 წელს. ამის შემდეგ 9 თვის განმავლობაში იყო პოსტდოქტორანტი ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა კალდი (Kaldi) სისტემაზე დოქტორ დანიელ პოუვის ხელმძღვანელობით. 2014 წელს ის მუშაობდა ეუ-ხიდის (Eu-bridge) პროექტზე ფბკ-ს (FBK-ს) მეტყველების ლაბორატორიაში (იტალია).

2014-2018 წლებში ის იყო სამეცნიერო მივლინებით სამხრეთ აფრიკაში; ედინბურგის უნივერსიტეტის ცსტრ (CSTR) ლაბორატორიაში პროფ. სტივ რენალის დამხმარედ; ალფანუმ (AlfaNum) კომპანიაში (სერბეთი), სადაც კალდი (Kaldi) ინსტრუმენტებით ამუშავებდა სერბულ და ხორვატულ მეტყველებებს; იანდექს (Yandex) კომპანიაში (მოსკოვი), სადაც აწარმოებდა რუსული ფონოლოგიის კალდი (Kaldi) ინსტრუმენტებით დამუშავების ექსპერიმენტებს; სინიკას აკადემიაში (ტაივანი); სეულში, ნავერ (Naver) კომპანიაში (კორეული გუგლი), სადაც მანქანური სწავლების მეთოდებით მუშაობდა მუსიკის ამოცნობისა და ხმის იდენტიფიკაციის პროექტებზე.

ის არის მრავალი მაღალრეიტინგული პუბლიკაციის ავტორი/თანაავტორი და სპარსული ენისათვის მეტყველების ამომცნობი სისტემის ერთ-ერთი თანაავტორი.



**ალექსანდრე მასხარაშვილი წაიკითხავს 3 დღიან სალექციო კურსს „ლოგიკური გრამატიკები ბუნებრივი ენებისთვის: სინტაქსი, სემანტიკა და მათი ურთიერთმიმართება“. ამავდროულად, ის არის სკოლის გუნდური შეჯიბრის მათორგანიზებელი ჯგუფის წევრი.**

ალექსანდრე მასხარაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია დისკურსის მოდელირებაში აბსტრაქტული კატეგორიული გრამატიკების გამოყენებით ლორენის უნივერსიტეტში,

საფრანგეთში. ამავდროულად ის იყო ინრიას ჯგუფის, სახელად "სემაგრამის," დოქტორანტი წევრი. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა ენის მათემატიკური შესწავლა, რაც მოიცავს მათემატიკური მიდგომების გამოყენებით სინტაქსის, სემანტიკის, დისკურსის და დიალოგის მოდელირებას. ამჟამად იგი გოტებორგის უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტ მკვლევარია.


სამეცნიერო სამუშაოსთან ერთად, რომელიც მისი ძირითადი მოვალეობაა, იგი ასევე კითხულობს ლექციებს გოტებორგის უნივერსიტეტის გამოთვლითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში.



**ხიმურ რუხაია წაიკითხავს ლექციას თემაზე „შალვა ფხაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა“, რომელიც ეძღვნება შალვა ფხაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობის როგორც პირველ - ზომის თეორიის, ისე მეორე - მათემატიკური ლოგიკის ეტაპს.**

ხიმურ რუხაიას სამეცნიერო კვლევის ინტერესებს წარმოადგენს კლასიკური მათემატიკური ლოგიკა, თეორიული პროგრამირება, ავტომატური მტკიცებების თეორია, აღნიშვნათა თეორია, ხელოვნური ინტელექტი. დისერტაცია დაიცვა 1980 წელს. აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, არის 60-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის, სკოლისა და ვორკშოფის მონაწილე და საორგანიზაციო/პროგრამული კომიტეტის წევრი.

ამჟამად არის გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



**ალექსანდრე ხარაზიშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე “თითქმის ინვარიანტული სიმრავლეების გამოყენებების შესახებ”, რომელიც ეძღვნება შალვა ფხაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ზომის თეორიის ეტაპს.**

ალექსანდრე ხარაზიშვილის სამეცნიერო კვლევის ინტერესებს წარმოადგენს სიმრავლეთა თეორია და კომბინატორიკა, ამოხსნეილი გეომეტრია, ზომის თეორია და ნამდვილი ანალიზი.



მას გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, 20-ზე მეტი მონოგრაფია, მიღებული აქვს მონაწილეობა 50-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციაში.



ალექსი კირთაძე წაიკითხავს ლექციას თემაზე „ინვარიანტული ზომების ძლიერი ერთადერთობის თვისების შესახებ“, რომელიც ეძღვნება შალვა ფხაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ზომის თეორიის ეტაპს.

ალექსი კირთაძის სამეცნიერო კვლევის ინტერესებს წარმოადგენს სიმრავლეთა თეორია, ზომის თეორია და ნამდვილი ანალიზი.

მას გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, 1 მონოგრაფია, მიღებული აქვს მონაწილეობა 50-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციაში.



ზურაბ ხასიდაშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე „აღნიშვნათა თეორიიდან გამოსახულებათა გადამწერ სისტემებამდე“, რომელიც ეძღვნება შალვა ფხაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მათემატიკური ლოგიკის ეტაპს.

ზურაბ ხასიდაშვილი არის ინტელ (Intel) კორპორაციის უფროსი ინჟინერ-პროგრამისტი. 1991 წელს მათემატიკურ ლოგიკაში დისერტაცია დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1992-1998 წლებში როგორც პოსტდოქტორანტი მუშაობდა ინრიაში (INRIA) (პარიზი), ნორვიჩის აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტში (ინგლისი), ნტტ (NTT) ატცუგის კვლევით ლაბორატორიაში (იაპონია). ისრაელში გადასვლის შემდეგ, 1998 წელს, მუშაობდა ბენ-გურიონისა და ბარ-ილანის უნივერსიტეტებში. 1999 წლიდან შეუერთდა ინტელის ფორმალური ტექნოლოგიების ჯგუფს ხაიფაში.

ინტელში გადასვლამდე მას მნიშვნელოვანი კვლევითი წვლილი აქვს შეტანილი ტერმთა გადამწერი სისტემებისა და ლამბდა აღრიცხვის განვითარებაში. ამჟამად ის მუშაობს პროდუქციის წარმოებასა და ლოგიკურ ვერიფიკაციებში დიდი მონაცემების ანალიზის გამოყენებებში. ის არის 50-ზე მეტი პუბლიკაციისა და პატენტის ავტორი და მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის საორგანიზაციო და პროგრამული კომიტეტების წევრი.



კონსტანტინე ფხაკაძე წაიკითხავს ლექციას თემაზე „აღნიშვნათა თეორია როგორც ქართული ენის თეზისებისა და ლოგიკური გრამატიკის თეორიული საფუძველი“, რომელიც ეძღვნება შალვა ფხაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მათემატიკური ლოგიკის ეტაპს და 2 დღიან სალექციო კურსს „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები“.

კონსტანტინე ფხაკაძის სამეცნიერო ინტერესთა სფეროა ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი. 2003-2007 წლებში ის იყო ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი. ამასთან, 2004 წელს, იმავე უნივერსიტეტში ქართული ენის სრული მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნებით დააფუძნა „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალიზაცია. 2008-2011 წლებში ხელმძღვანელობდა არაფორმალურად მოქმედ „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის დია ინსტიტუტს“.

2011 წლიდან ის არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორი და ამავე ცენტრის გრძელვადიანი პროექტების (ესენია: „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ (მოქმედებს 2012 წლიდან), „აფხაზური ენის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გეგმა-პროგრამა“ (მოქმედებს 2015 წლიდან)) ხელმძღვანელი. ასევე, 2012 წლიდან ის არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის პროფესორი, სადაც გარდა იმისა, რომ უძღვება ბუნებრივი ენების დამუშავების საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებს, არის „ინფორმატიკის“ სადოქტორო პროგრამის ხელოვნური ინტელექტის მიმართულების დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი.

## ორგანიზატორები:



კონსტანტინე დემურჩევი არის საზაფხულო სკოლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ტექნიკური ასისტენტი.

კონსტანტინე დემურჩევის ინტერესთა სფეროს წარმოადგენს ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი. 2017 წლიდან არის სტუ „ინფორმატიკის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი და კონსტანტინე ფხაკაძის ხელმძღვანელობით ამუშავებს სადოქტორო თემას

„ქართული ჭკვიანი კორპუსის ახალი განმავითარებელი ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება და არსებულთა გაუმჯობესება“, რომელიც ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის 2012 წლიდან მოქმედი გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ერთ-ერთი ქვეპროექტია.

ის არის 4 საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და 7 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი/თანაავტორი.



**დავით კურცხალია არის საზაფხულო სკოლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ტექნიკური ასისტენტი.**

დავით კურცხალიას სამეცნიერო ინტერესთა სფეროა ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი. ამჟამად დავით კურცხალია არის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მკვლევარი. ამავდროულად, დავით კურცხალია დამხმარე მკვლევარის სახით ჩართული იყო კონსტანტინე ფხაკაძის ხელმძღვანელობით მოქმედი გრძელვადიანი პროექტების „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ და „აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების გეგმა-პროგრამას“ AR/122/4-105/14 ქვეპროექტში „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“, რომელიც დააფინანსა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და რომელიც თავად ფონდის საბჭოს მიერ 2017 წელს ფონდის ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად გამოცხადდა (<http://www.rustaveli.org.ge/geo/tsarmatebuli-proeqebi/kidev-erti-nabiji-mosaubre-kartuli-tvitganvitarebadi-intelektualuri-korpusisaken>).

ის არის 10-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, 40-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და 1 მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი.



**შალვა მალიძე არის საზაფხულო სკოლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ტექნიკური ასისტენტი.**

შალვა მალიძის სამეცნიერო ინტერესთა სფეროა ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი. 2016 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი და კონსტანტინე ფხაკაძის ხელმძღვანელობით ამუშავებს სადოქტორო თემას „ქართული ჭკვიანი კორპუსის ახალი განმავითარებელი ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება და არსებულთა გაუმჯობესება“, რომელიც ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის 2012 და 2015 წლებიდან მოქმედი

გრძელვადიანი პროექტების „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ და „აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების გეგმა-პროგრამა“ ქვეპროექტია.

2018 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მისი სადოქტორო კვლევით მაშინ უკვე მიღწეულ შედეგების გათვალისწინებით დაფინანსება გამოყო კონსტანტინე ფხაკაძის ხელმძღვანელობით შემუშავებულ შალვა მალიძის PHDF-18-1228 პროექტზე „ქართული აფხაზური ენებით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის ახალი განმავითარებელი ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება და არსებულთა გაუმჯობესება“. ის იყო დამხმარე მკვლევარი ფონდის მიერ 2017 წელს წარმატებულ პროექტად გამოცხადებულ AR/122/4-105/14 პროექტში (<http://www.rustaveli.org.ge/geo/tsarmatebuli-proeqebi/kidev-erti-nabiji-mosaubre-kartuli-tvitganvitarebadi-intelektualuri-korpusisaken>).

შალვა მალიძე არის 5-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, 25-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და 1 მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი.



**მერაბ ჩიქვინიძე არის საზაფხულო სკოლის კოორდინატორი და პროგრამული და საორგანიზაციო კომიტეტების წევრი. ასევე, ის არის სკოლის გუნდური შეჯიბრის მათრგანიზებელი ჯგუფის წევრი.**

მერაბ ჩიქვინიძის სამეცნიერო ინტერესთა სფეროა ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი. 2017 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქართული ტექსტის გრამატიკულ და ლოგიკურ ანალიზში კონსტანტინე ფხაკაძის ხელმძღვანელობით. ამჟამად არის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მკვლევარი.

მერაბ ჩიქვინიძე ძირითადი მკვლევარის სახით ჩართული იყო კონსტანტინე ფხაკაძის ხელმძღვანელობით მოქმედი გრძელვადიანი პროექტების „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ და „აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების გეგმა-პროგრამა“ ოთხ ქვეპროექტში (ესენია: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული FR/362/4-105/12 პროექტი „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები და მისი გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიებში“; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული №048-13 პროექტი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის ასაგებად აუცილებელი რიგი სისტემების გაფართოებადი (სწავლებადი) საინტერნეტო ვერსიების შემუშავება“; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული DO/308/4-105/14 პროექტი „ქართული ენით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული გრამატიკული მართლმწერი (ანალიზატორი)“; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული AR/122/4-105/14 პროექტი „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“). მერაბ ჩიქვინიძე იყო



ძირითადი მკვლევარი ფონდის მიერ 2017 წელს წარმატებულ პროექტად გამოცხადებულ AR/122/4-105/14 პროექტში (<http://www.rustaveli.org.ge/geo/tsarmatebuli-proeqebi/kidev-erti-nabiji-mosaubre-kartuli-tvitganvitarebadi-intelektualuri-korpusisaken>).

ის არის 15-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, 70-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და 1 მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი.



**გიორგი ჩიჩუა არის საზაფხულო სკოლის ასისტენტი და პროგრამული და საორგანიზაციო კომიტეტების წევრი. ასევე, ის არის სკოლის გუნდური შეჯიბრის მარგანიზებელი ჯგუფის წევრი.**

გიორგი ჩიჩუას სამეცნიერო ინტერესთა სფეროა ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი. 2017 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქართული მეტყველების დამუშავებაში (ამოცნობა, სინთეზი) კონსტანტინე ფხაკაძის ხელმძღვანელობით. ამჟამად არის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მკვლევარი.

გიორგი ჩიჩუა ძირითადი მკვლევარის სახით ჩართული იყო კონსტანტინე ფხაკაძის ხელმძღვანელობით მოქმედი გრძელვადიანი პროექტების „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ და „აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების გეგმა-პროგრამა“ ოთხ ქვეპროექტში (ესენია: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული FR/362/4-105/12 პროექტი „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები და მისი გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიებში“; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული №048-13 პროექტი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის ასაგებად აუცილებელი რიგი სისტემების გაფართოებადი (სწავლებადი) საინტერნეტო ვერსიების შემუშავება“; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული DO/308/4-105/14 პროექტი „ქართული ენით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული გრამატიკული მართლმწერი (ანალიზატორი)“; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული AR/122/4-105/14 პროექტი „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“). გარდა ამისა, გიორგი ჩიჩუა იყო ერთ-ერთი ძირითადი მკვლევარი ფონდის მიერ 2017 წელს წარმატებულ პროექტად გამოცხადებულ AR/122/4-105/14 პროექტშიც (<http://www.rustaveli.org.ge/geo/tsarmatebuli-proeqebi/kidev-erti-nabiji-mosaubre-kartuli-tvitganvitarebadi-intelektualuri-korpusisaken>).

ის არის 20-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, 80-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და 1 მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი.





**კონსტანტინე ფხაკაძე არის საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი და სკოლის გუნდური შეჯიბრის მათრგანიზებელი ჯგუფისა და პროგრამული და საორგანიზაციო კომიტეტების თავმჯდომარე.**

კონსტანტინე ფხაკაძის სამეცნიერო ინტერესთა სფეროა ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი. კერძოდ, 2002 – 2007 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ის ხელმძღვანელობდა ქართული ენის სრული მათემატიკური და ტექნოლოგიური დაფუძნების მიზნებით მოქმედ სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამასა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ და ამავე მიზნით მოქმედ საუნივერსიტეტო სემინარს „ლოგიკა, ენა, გამომთვლელი“. 2004 წელს იმავე უნივერსიტეტში იმავე მიზნებით მან დააფუძნა „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალიზაცია, 2005-2006 წლებში კი - „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო სპეციალობა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გასვლის შემდეგ მან მის გარშემო თავმოყრილ ახალგაზრდებთან ერთად დააფუძნა და 2008-2011 წლებში ხელმძღვანელობდა არაფორმალურად მოქმედ „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ღია ინსტიტუტს“ (<https://geoanbani.com/other/gllc.ge/index.html>).

2011 წლიდან ის არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის არჩილ ფრანგიშვილის მხარდაჭერითა და ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით მის მიერვე წარდგენილი სამოქმედო გეგმით დაფუძნებული „ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ (<https://geoanbani.com/>) დირექტორი, სადაც ის ხელმძღვანელობს ქართული და აფხაზური ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების მიზნებზე მიმართულ გრძელვადიან პროექტებს „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ (მოქმედებს 2012 წლიდან), „აფხაზური ენის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გეგმა-პროგრამა“ (მოქმედებს 2015 წლიდან). გარდა ამისა, 2012 წლიდან ის არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის პროფესორი.

კონსტანტინე ფხაკაძე არის 190-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის, 5 მონოგრაფიული ნაშრომისა და ორი პატენტირებული გამოგონების ავტორი. როგორც მომხსენებელს და, ასევე, როგორც პროგრამული/საორგანიზაციო კომიტეტის წევრს/თავმჯდომარეს მას მონაწილეობა აქვს მიღებული 60-ზე მეტი კონფერენციის, სეზონური სკოლისა და სამეცნიერო ვორკშოფის მუშაობასა და ორგანიზებაში.

კონსტანტინე ფხაკაძის სამეცნიერო საქმიანობის მთავარი შედეგია ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლების შემუშავება, რომელიც არის ქართული ენის პირველი ჩომსკი-მონტეგიუს ტიპის მათემატიკური თეორია ანუ გრამატიკა.

მისი სამეცნიერო საქმიანობის მეტად მნიშვნელოვანი შედეგია აგრეთვე მისივე დოქტორებისა და ახალგაზრდა კოლეგების თანამონაწილეობით შემუშავებული ქართული

თვითგანვითარებადი ინტელექტუალური ვებ-კორპუსი, მოკლედ, ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსი (<https://corpus.ge/>). ხაზგასასმელია, რომ ეს ერთადერთი ქართული თვითგანვითარებადი კორპუსი, რომელიც დღეს-დღეობით არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოცულობითი და ტექნოლოგიურად ყველაზე უფრო მეტად მხარდაჭერილი ქართული კორპუსი (იხილეთ <https://geoanbani.com/HTML/aboutUs.html> მისამართზე განთავსებული მონოგრაფიული ნაშრომი „ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი: მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები“), შემუშავდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელებული გრძელვადიანი პროექტების „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ და „აფხაზური ენის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გეგმა-პროგრამა“ იმ AR/122/4-105/14 ქვეპროექტის ფარგლებში, რომელიც თავად ფონდმა 2017 წელს ფონდის წარმატებულ პროექტად გამოაცხადა (იხილეთ <https://rustaveli.org.ge/geo/tsarmatebuli-proeqebi/kidev-erti-nabiji-mosaubre-kartuli-tvitganvitarebadi-intelektualuri-korpusisaken> მისამართზე განთავსებული მასალა).

გარდა ამისა, მისი საზოგადოებრივი საქმიანობის მთავარი შედეგი ისაა, რომ სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტით (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=3>) სახელმწიფო ენის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფა ქვეყნის ორგანული კანონით განსაზღვრულ ვალდებულებად არის განსაზღვრული.

## მიძღვნა:



**საქართველოში კლასიკური მათემატიკური ლოგიკის სკოლის ფუძემდებლი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, შალვა ფხაკაძე - მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.**

მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი შალვა ფხაკაძე დაიბადა 1919 წლის 7 აპრილს. 1941 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, რის შემდეგაც ის 10 წლის განმავლობაში პედაგოგიური საქმიანობით იყო დაკავებული ზესტაფონის რაიონის სოფლის სკოლებში. მიუხედავად ამისა, მან შეძლო არ მოწყვეტოდა კვლევით პროცესებს და სამასწავლებლო საქმიანობის პარალელურად 1946 წლიდან დაიწყო იმ დროს მეტად აქტუალური სამეცნიერო თემების შესწავლა.

მისი ამ ზემოხაზგასმული დამოუკიდებელი კვლევების შედეგი იყო ის, რომ 1952 წელს ის მიიწვიეს ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1956 წელს კი გამოსაქვეყნებლად წარადგინა სადოქტორო ნაშრომი „ლებეგის ტიპის ზომის თეორიისათვის“, რომელიც, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათემატიკის ინსტიტუტში სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებები შეჩერებული იყო, წარმატებით დაიცვა 1959 წელს. ცნობილი რუსი მათემატიკოსი პეტრე ნოვიკოვი მის ამ ნაშრომთან დაკავშირებით წერდა: „ზომის თეორიაში გაგრძელებადობის პრობლემა ერთ-ერთი ფუნდამენტურია და, ბუნებრივია, ეს საკითხი იწვევდა და იწვევს დიდ ინტერესს. მიუხედავად ამისა, ლებეგის ტიპის ზომის გაგრძელებადობის თაობაზე დასმული ამოცანის ამოხსნა არ ჩანდა და წინაც არ მიიწევდა. განსახილველი დისერტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს აღნიშნული მიმართულებით, უფრო მეტიც, მე ვიტყვოდი, მან თეორია დაძრა მკვდარი წერტილიდან“. - ამგვარად, 1952-1956 წლებში, ანუ სულ რაღაც 4 წელიწადში, მან არა მხოლოდ დაიპყრო იმ დროისათვის მეტად მაღალი სამეცნიერო სტანდარტების მქონე საკანდიდატო და სადოქტორო საფეხურები, არამედ ისიც შეძლო, მკვდარი წერტილიდან დაეძრა ანუ განმავითარებელი ბიძგი მიეცა ერთ-ერთი მაშინ მეტად აქტუალური მათემატიკური მიმართულებისათვის, რაც, მთლიანობაში, მოკლე დროში სამეცნიერო შედეგების წინ წაწევის თითქმის უპრეცედენტო ნიმუშია.

1960 წლიდან, სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, იგი აქტიურად ებმება საუნივერსიტეტო პედაგოგიურ საქმიანობაში. 1965 წელს მას მიენიჭა პროფესორის, 1967 წელს კი - მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მიუხედავად ზომის თეორიაში მისი ზემოხაზგასმული მეტად მნიშვნელოვანი შედეგებისა, 1967-1969 წლებში იგი იცვლის სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროს და იწყებს მათემატიკური ლოგიკის შესწავლას. აღნიშნულის პარალელურად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე იგი უძღვება მათემატიკური ლოგიკის საუნივერსიტეტო და სპეციალურ კურსებს.

ცხადია, მისთვის, სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროს ასეთი რადიკალური ცვლილება არ იყო ადვილი. თუმცა, საქართველოში მათემატიკური ლოგიკის ფორმირების აუცილებლობის გათვალისწინებით მან ეს ნაბიჯი გადადგა და 1969 წელს ილია ვეკუას მხარდაჭერით გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა „მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის“ განყოფილება, რომლის ფარგლებშიც დაიწყო პირველი ქართული კვლევები მათემატიკურ ლოგიკაში, რითაც იწყება აგრეთვე მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მეორე - მათემატიკური ლოგიკის ეტაპი. ამგვარად, ქვემოთ, ძალიან მოკლედ არის მიმოხილული 1969 წლიდან დაწყებული მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ამ მეორე - მათემატიკური ლოგიკის ეტაპის ძირითადი შედეგები.

1984 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით „ინტუიციურად გამოთვლადი და ყველგან განსაზღვრული ფუნქციის ერთი მაგალითი და ჩორჩის თეზისი“, რომლითაც პირველად დააყენა ექვქვეშ მაშინ ექვგარეშედ მყოფი ჩორჩის თეზისი. არადა, დღეს უკვე, სპეციალისტებს შორის ჩორჩის თეზისისადმი დამოკიდებულება რადიკალურადაა შეცვლილი - ხშირად ქვეყნდება მისი უარყოფელი მოსაზრებები და ნაშრომები, რაც ამ თეზისის საპირისპირო თეზისის ანუ ფხაკაძის თეზისის მართებულობას დღითი დღე უფრო სარწმუნოს ხდის.


თუმცა, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი თეზისის უარყოფა, როგორც ჩორჩის თეზისია, იმას, რაც მან აღნიშვნათა თეორიით მათემატიკურ ლოგიკას შესძინა, ცხადია ვერ შეედრება.

კერძოდ, შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორია, რომელსაც მან დასრულებული სახით საფუძვლები 1977 წელს გამოქვეყნებული ნაშრომით „აღნიშვნათა თეორიის ზოგიერთი საკითხი“ ჩაუყარა, არის თეორია, რომელმაც მანამდე ფორმალურად არაგანვითარებადი კლასიკური მათემატიკური ენა ფორმალურად განვითარებადობის შესაძლებლობებით აღჭურვა, რაც, ცხადია, ფორმალური მიდგომების შემდგომი აუცილებელი განვითარების მოთხოვნებისა და მიზნების გათვალისწინებით, ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

გარდა ამისა, აღნიშნულთან ერთად ხაზგასასმელია ისიც, რომ ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიამ უკვე შეიტანა თავისი საფუძველმდებრივი წვლილი ისეთი მნიშვნელოვანი მათემატიკური თეორიის განვითარებაში, როგორცაა ტერმთა გადამწერი სისტემები. კერძოდ, თუ ტერმთა გადამწერი სისტემების თეორიის განვითარების პირველ ეტაპზე შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ გამოსახულებების გამოთვლები, რომლებიც არ შეიცავდნენ დაბმულ ცვლადებს, ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიაზე დაყრდნობით შემუშავდა მაღალი რიგის გამოსახულებათა გადამწერი სისტემების თეორია, რომელიც, დღეს უკვე, ტერმთა გადამწერი სისტემების თეორიის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც კიდევ ერთი ცხადი დასტურია მათემატიკურ ლოგიკაში შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიის ფუნდამენტური მნიშვნელობისა.

შალვა ფხაკაძე გარდაიცვალა 1994 წელს. დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ შალვა ფხაკაძის ამ ზემოთ მოკლედ აღწერილი არც თუ მთლად სტანდარტული სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი შედეგი ისაა, რომ, დღეს, სხვა ქართულ კლასიკურ მათემატიკურ სკოლებთან ერთად არსებობს, ვითარდება და ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აგრეთვე კლასიკური მათემატიკური ლოგიკის მის მიერ დაფუძნებულ ქართულ სკოლასაც.





**The goals of the summer school:** The main driving task of the Tbilisi International Summer School in "Logic, Language, Artificial Intelligence" is to construct technological alphabets for Georgian and Abkhazian languages, in other words, to construct the artificial intelligence systems completely knowing Georgian and Abkhazian languages, necessity of which is directly caused by Georgian state obligation to protect Georgian state languages - Georgian and Abkhaz languages from the danger of digital extinction in the rapidly forthcoming digital age.

In this way, the main first stage aim of the Summer School in "Logic, Language, Artificial Intelligence" is to make clear to the students of the school, predominantly to the local students of the school the objectives, methods, results and the perspectives of the interdisciplinary scientific field of the logic, language and artificial intelligence, which has a very high cultural value in nowadays for any nation, for any language.

At the same time, the abovementioned, and it is very clear, is an obligatory basis for ensuring further inclusion of local young scientific staff in this important interdisciplinary scientific field, and it is also very clear, that this inclusion vitally important for the culturally protection and technologically development of the Georgian and Abkhazian languages, which for today - in rapidly forthcoming digital age are the technologically very insufficiently supported and, accordingly, they are in the high level danger of digital extinction in the digital age.

**CONSTITUTION OF GEORGIA:** The official language of Georgia shall be Georgian, and, in the Autonomous Republic of Abkhazia, also Abkhazian. The official language is protected by the organic law.

„When the parents take away the mother tongue from their children and instead making them to develop in a some foreign language, what do they do by this? - By this they take away their children from the greatest and matchless teacher and give them in the hands of a careless and soulless one. There is no need to be too forethoughtful to foresee for such children a hopeless future." - **Iakob Gogebashvili (1840-1912)**

„The first sign of the nation's identity is a language“ - **Ilia Chavchavadze (1837-1907)**

